ხელშეკრულება № 99/16-5

(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი „10" ივნისი 2016 წ.

შპს „ენგურჰესი", შემდგომში წოდებული „შემსყიდველად", წარმოდგენილი - დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის -ლევან მეგონიას სახით, რომელიც მოქმედებს კომპანიის წესდების შესაბამისად და

შპს „კავკასენერგო", შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად„ წარმოდგენილი დირექტორის - ზურაბ ჯაველიძის სახით, რომელიც ასევე მოქმედებს კომპანიის წესდების შესაბამისად, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები" შპს „ენგურჰესის" მიერ განსახორციელებელი საქონლისა და მომსახურების შესყიდვების ბიზნეს-გეგმის (CPV 44114000) თანახმად წინამდებარე ხელშეკრულებით თანხმდებიან შემდეგზე:

გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") – „შემსყიდველსა" და „მიმწოდებელს" შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ზედმიწევნით შესრულებისთვის

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. "შემსყიდველი" - პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „საქონელი" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7. „ინსპექტირება" - ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. „შემსყიდველი" ავალებს, ხოლო „მიმწოდებელი" ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს საკუთრებაში ბეტონი 300მ- 6მ³ (CPV 44114000).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 1მ³-ბეტონი 300მ-ის ღირებულებაა: 150 (ასორმოცდაათი) ლარი, შესაბამისად სახელშეკრულებო თანხა შეადგენს: 6*150=900 (ცხრაას) ლარს საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4 მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს საქონლის მიწოდება ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყონებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორება;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.
ბ) უზრუნველყოს ინსპექტირების განხორციელება.

5 ინსპექტირება

5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ინსპექტირება, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას ინსპექტირების განხორციელების დროს.

5.2 ინსპექტირებას განახორციელებს: შპს „ენგურჰესი"-ს თ/კაშხლის დეპარტამენტის ჰიდროტექნიკური საამქროს უფროსი- ვ. ფიფია

5.3 შემსყიდველის მიერ ინსპექტირება განხორციელდება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

5.4 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნდებული საქონელი, მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინებიდან 3 დღეში გამოასწოროს წუნი ან შეცვალოს ახლით.

6 საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 საქონლის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, რომელსაც ადგენს მუდმივმოქმედი კომისია საქონლის საბოლოო მიღების ადგილზე. შპს "ენგურჰესი"-ს თ/კაშხლის დეპარტამენტში.

7 ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

7.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული საქონლის ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

8 ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს წერილობითი შეტყობინება მეორე მხარეს შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

8.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-10 მუხლის შესაბამისად.

9 ხელშეკრულების პირობების შესრულება

9.1 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.07%-ის ოდენობით.

9.2 წინამდებარე ხელშეკრულების 7.2 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.07%-ის ოდენობით.

9.3 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2 (ორი) პროცენტს. შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

10. ხელშეკრულება ცვლილებების შეტანა

10.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

10.2 თუ რამე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშვება ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11. ხარისხი

11.1 მოწოდებული საქონელი უნდა აკმაყოფილებდეს სახელმწიფო სტანდარტებს და ტექნიკურ მოთხოვნებს.

12. დავების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5(ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონის დადგენილი წესი.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებს.

13.2 ხელშეკრულებების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დარჩენილი ვალდებულებების შესრლებისაგან.

13.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებიდან 30 დღის განმავლობაში.

15. ფორს-მაჟორი

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებისა და დაუდევრობისაგან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოებების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივ შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.

16. სხვა პირობები

16.1 ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს მეორე კი შემსყიდველს.

17. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

"შემსყიდველი"
შპს "ენგურჰესი"
იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი.
ა. პოლიტკოვსკაიას #8
სს „პროკრედიტ ბანკის" ქუთაისის ფილიალის
ზუგდიდის განყოფილება
ბ/კ 220101929 ს/კ 251716371
ა/ა GE59PC0173600100015015
დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე

ლ. მეზონია

"მიმწოდებელი"
შპს "კავკასენერგო"
მისამართი:ქ. ~~თბილისი ბარათაშვილის ქ. #2~~
ზუგდიდის ბეტონის ქარხანა. [illegible] #102,
ს/ნ 404922063
სს „პროგრეს ბანკი„

ა/ა GE26PG0000001058473669

დირექტორი

~~ზ. ჯაველიძე~~ [illegible]

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

„10" მაისი 2016 წ.

ვადასტურებთ, რომ "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, 99/16-5 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვასთან დაკავშირებით, შპს "კავკასენერგო"-ს თან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

შპს "ენგურჰესი"-ს დირექტორთა
საბჭოს თავმჯდომარე ლ. მეზონია

შპს "ენგურჰესი"-ს თ/კაშხლის დეპარტამენტის
ჰიდროტექნიკური საამქროს უფროსი- ვ. ფიფია

„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ"

შპს „ენგურჰესი"- ს თ/კაშხლის
დეპარტამენტის თავმჯდომარე

-------------------- ქანია

„------------------------------" 2016 წ

საქონლის მიღება-ჩაბარების

ა ქ ტ ი

11.05.2016 წ. დაბ.ფოცხო-ეწერი

ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერებმა: თ/კაშხლის შესყიდვების სამსახურის სპეციალისტმა – ბ. მებონიამ, ჰიდროტექნიკური საამქროს უფროსი- ვ. ფიფიამ შევადგინეთ წინამდებარე აქტი მასზედ, რომ 2016 წლის 10 მაისს შპს "კავკასენერგო"-სთან გაფორმებული №99/16-5 ხელშეკრულების საფუძველზე 2016 წლის 10 მაისს თ/კაშხლის № 11 გზაზე დამცავი პარაპეტების მოსაწყობად შემოტანილიქნა შემდეგი დასახელების საქონელი (იხ. სასაქონლო ზედნადები №: ელ-0236493197).

აქტის თანახმად ასანაზღაურებელი თანხა შეადგენს: 900 (ცხრაას) ლარს კანონით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

№	საქონლის დასახელება	ზომის ერთეული	საქ. რაოდენობა	ერთ.ფასი	საქ. ფასი
1	ბეტონი 300მ	$მ^3$	6	150.00	900.00

რასაც ვადასტურებთ ხელისმოწერით:

1. ბ. მებონია
2. ვ. ფიფია

1	სასაქონლო ზედნადები #	ელ- 0236493197

2	10/05/2016

თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)

3	10:22:24

დრო (საათი, წუთი)

(დღგ-ს გადამხდელი)

4	შპს კავკასინერგო	404922063
	გამყიდველის (გამგზავნის) დასახელება ან სახელი და გვარი	საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი

(დღგ-ს გადამხდელი)

5	შპს ენგურჰესი	251716371
	მყიდველის (მიმღების) დასახელება ან სახელი და გვარი	საიდენტიფიკაციო / პირადი ნომერი

6	ოპერაციის შინაარსი	ტრანსპორტირებით

7	ზუგდიდი, პუშკინის 102

ტრანსპორტირების დაწყების ადგილი (მისამართი)

8	ჯვარი, ცემინტიას ქ. N1

ტრანსპორტირების დასრულების ადგილი (მისამართი)

9	საავტომობილო

ტრანსპორტირების სახე

10	QJ953fq

სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომერი

X

მისაბმელი

11	სატრანსპორტო საშუალების მძღოლის პირადი ნომერი	51001003600 დავით ქარდავა

12	გამყიდველის(გამგზავნის)/მყიდველის(მიმღების) მიერ გაწეული ტრანსპორტირების ხარჯი	გამყიდველი - 0

თანხა ლარებში

სასაქონლო ზედნადების ცხრილი

#	საქონლის დასახელება	საქონლის კოდი	საქონლის ზომის ერთეული	საქონლის რაოდენობა	საქონლის ერთეულის ფასი*	საქონლის ფასი *
1	ბეტონი 300მ	056	მ³	6.0000	150.0000	900.0000

13	900 - ცხრაასი ლარი და ნული თეთრი

მიწოდებული საქონლის მთლიანი თანხა (ციფრებით და სიტყვიერად)

14	

გამყიდველი (გამგზავნი)/საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

15	

მყიდველი (მიმღები)/საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

16	

ხელმოწერა

17	

ხელმოწერა

18	მიწოდებული საქონლის ჩაბარების		
		თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)	დრო (საათი, წუთი)

19	

შენიშვნა: * დღგ-ს გადამხდელისათვის დღგ-ს ჩათვლით, აქციზის გადამხდელისათვის აქციზურ საქონელზე, დღგ-ს და აქციზის ჩათვლით

ამობეჭდვის თარიღი 19/05/2016, 09:51:53